„მე შენ მიყვარდი, შენ მნათდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №2 (291) 25 თებერვალი, სამშაბათი 2020 წელი; ფასი 1 ლ.



## 8 თებერვალი-დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა

„ფეხი ღამაღგით, გულზე
ღამაღგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით
საქრთველოის ყოვლის მპყრობელმან"

**კიდევ ერთი დიდგორი, დავით!**

## გვახსოვდეს: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა"

## ფოთში პოლიტიკური პარტია ქართული ფესვები დაფუძნდა



ფოთში, პოლიტიკური პარტია "ქართული ფესვების" დამფუძნებელი სხდომა გაიმართა. პარტია ამერიკაში მოღვაწე **თენგიზ ოქროპელაშვილმა** დააფუძნა.

შეხვედრა ფოთის კულტურის სახლში გაიმართა. პარტიის დამფუძნებლებმა სამომავლო გეგმებზე და პრიორიტეტებზე ისაუბრეს. მათი თქმით, მთავარი პრიორიტეტი სიღარიბის დაძლევა, საპენსიო რეფორმის გატარება და სოფლის მეურნეობის განვითარებაა.



## იაზდის დელეგაციის ვიზიტი ფოთში

მე-3 გვ

## თეატრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება



მე-3 გვ




## მერია ელექტრონული მმართველობის ახალ სისტემაზე გადადის

მე-5 გვ

## ქალაქ ფოთში, ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა.



მე-5 გვ





## 30 წელი დემოკრატიის მერხევთან

რას შეცვლის ახალი არჩევნები ხელისუფლების გარდა?

**ამომრჩევლის მოლოდინები, იმედები და უიმედო რეალობა**

გააძლიერებს ოპოზიციას მერაბიშვილი ახალი ამბოხების მოსაწყობად?

ბატონო ბიძინა, ბოლო შანსია-ეროვნული, უანგარო, პროფესიონალები ცენტრსა და რეგიონებში...

მე-2 გვ

## ერთი წელი გარდაცვალებიდან



კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

**გერონტი კუხალეიშვილი**

სიცოცხლე, რომელიც ფოთს მიეძღვნა

მე-3 გვ



## კუნძულის უბნის სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია გრძელდება

მე-3 გვ

## „ფაზისის" აკადემიის მორიგი სხდომა



ლეონიდ –ლუკა კაზანჯი – ახალგაზრდა მეცნიერი,

კოლხეთის მკვლევართა ახალი დიდი შენაძენი

მე-6 გვ

## სპორტი



## კალათბურთი

ფოთის „ირაოს" მორიგი წარმატება

მე-8 გვ

# 30 წელი დემოკრატიის მერხებთან

## რას შეცვლის ახალი არჩევნები ხელისუფლების გარდა?

## ამომრჩევლის მოლოდინები, იმედები და უიმედო რეალობა

## გააძლიერებს ოპოზიციას მერაბიშვილი ახალი ამბოხების მოსაწყობად?

## ბატონო ბიძინა, ბოლო შანსია-ეროვნული, უანგარო, პროფესიონალები ცენტრსა და რეგიონებში...





2012 წლის დაპირებებით და მოლოდინებით ვზომავთ დღევანდელ რეალობას. ოცნებად გვქონდა საქართველოს წინსვლა განვითარება, სამართლიანობის აღდგენა, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, დამოუკიდებელი სასამართლო და პროკურატურა, ახალი სამუშაო ადგილები და ა.შ.

ვერ ვიტყვით, რომ არაფერი გაკეთებულა ეკონომიკაში,მაგრამ ხალხი მაინც უმუშევარია, და ბევრი პოტენციური მათხოვარია. სამართლიანობის აღდგენა მაშინ ახსენდებათ როცა ,,ნაცები" უკმაყოფილო ხალხის გაჭირვებით მანიპულირებენ და აჯანყებით იმუქრებიან, თორემ მანამდე არ დაუჭერიათ ხალხის დამაქცევარები - ყველა ხელისუფლება ურჩხულს ემგვანება როგორც ურჩხულთან მებრძოლს-ურჩხული. ანუ ხელისუფებით ტკბობის სინდრომი გადამდები ყოფილა, თანაც ხელისუფლებისათვის ბრძოლა ისეთ ფაზაში შედის, რევოლუციამდე ცოტა აკლია. საქმე საარჩევნო სისტემას ეხება. დანაპირებს არ ასრულებს მართველი პარტია და მისი ლიდერი, რაც არადემოკრატიული ნაბიჯია და ამომრჩევლების უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა, მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ეს არის დემოკრატიის პარადოქსი-არ გისმენს შენივე არჩეული. გამოდის ვერ გააკეთე სწორი არჩევანი. სანამდე ვისხდეთ საააარჩევნო მერხებთან?

მართალია, ,,ნაცებთან" შედარებით ვითარება შერბილებულია, მაგრამ ისევ ყვავის კორუფცია, იფლანგება ბიუჯეტი, როგორც ცენტრში ისე რეგიონებში, ვერ გაიგეს სად გაიბნა 700 მილიონი, სავარაუდო ეჭვმიტანილი ხან ანაფორით დადის, ხან-პოლიტიკაში დაბრუნებაზე ფიქრობს ,ამ დროს უგულავას მესამედ ასამართლებენ, ეს ვნებს სამართლიანობის განცდას, თუმცა, არც ისაა მოსაწონი დამნაშავე უგულავა პოლიტპატიმრად რომ აღიარეს და ლამის ეროვნულ მოღვაწედ გამოაცხადეს. სხვა უამრავი შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა, მათ შორის გავრილოვის ჩამოყვანით. შესაძლოა უარესი მოყვეს ლავროვის ჩამოსვლას. რუსეთს აწყობს საქართველოს არევა, რათა მსოფლიოს აჩვენოს მისი სახე.

ყველაზე დიდი შეცდომა კი ერთპიროვნული, ჩრდილოვანი მმართველობაა, რამაც ჩაკლა პოლიტიკური ცხოვრება და გააჩინა მუდმივობის განცდა ხელისუფლებაში ყოფნისავიღაც ვიღაცის კაცია, და იქნება მანამ სანამ ვიღაცას უნდა. ყველა დიდი თანამდებობის პირი უახლესი გარემოცვიდანაა და არა პოლიტიკური წონადობის გამო. სამწუხაროდ, ბევრი მოიყვანა პოლიტიკაში თითქოს ნაცადი პოლიტიკოსი, თუმც არაფერში გამოადგა, გარდა ამისა აგინებს და ლამისაა მიშას ჩაუვარდეს მუხლებში. იქნებ - თანამდებობა გამოსტყუოს ახალ ხელისუფლებას, სულ ვიღაცის ჩამოგდების იდეებით ცოცხლობენ, ყველაფერზე წამსვლელი პოლიტიკოსები. პოზიცია, ოპოზიცია მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლაზე და დარჩენაზე ფიქრობს, ახალი ეროვნული ძალა კი არ ჩანს. ისევ არჩევანი უნდა გავაკეთოთ ცუდსა და უარესს შორის და ასე დავდივართ მოჯადოებულ წრეში.

ისევ 2012 წელს დავუბრუნდეთ, მაშინ არჩევნები მოიგო სააკაშვილის თავგასულობამ, ხალხის გაჭირვებამ, ამდენად, ამ არჩევნების შედეგები უფრო მისი დამსახურება იყო, ვიდრე ივანიშვილის, რომელმაც ვერ მოზომა დაპირებები, როცა ამ ბრძოლას მაინც იგებდა. დღეს კი გამოუვალ მდგომარეობაშია. ისევ ხალხის გაჭირვება განსაზღვრავს - დარჩეს თუ წავიდეს ხელისუფლება და პარტიის მდგრადობაც ამ სოციალურ ფუნდამენტზეა დამოკიდებული-მიზანი ხალხია თუ პირადი კეთილდღეობა.განმსაზღვრელი უნდა იყოს სახელმწიფოს წინსვლა, გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოყენება, ხალხის კეთილდღეობა, სიმდიდრე ყველასათვის და არა ერთეულებისათვის. ნონსენსია 21 საუკუნე მჩაგვრელთა ჯგუფები. ხალხის სიღარიბე გახდა მართვის მეთოდი, არადა, ეს რეალობაა. პარტიები უნდა მოდიოდნენ სახელმწიფო მშენებლობის პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ და პიროვნულ თავისუფლებას - ადამიანთა კეთილდღეობას. არადა, სამწუხაროდ, პოლიტიკა კრიმინალური დასაყრდენი გახდა, წინასწარ გათვლილი გეგმით მოქმედებენ, ითვისებენ მილიონებს და მინიმალურს აბრუნებენ გარიგებით, რათა ბედნიერად იცხოვრონ თავიანი ,,ნაამაგარით", ხალხი და ქვეყანა კი ეშმაკსაც წაუღია. ჩვენ კიდევ ტაშს ვუკრავთ ამ პარტიულ აფერისტებს, ვითომ მომავლის კაცებს. თუ იგივე შეცდომებს დავუშვებთ კიდევ უარესს მივიღებთ-ტყუილ დაპირებებსა და სიღარიბეს. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებს ისევ ყავთ ამომრჩეველი. პროგრესულ ამომრჩეველს ისინი ქვეყნის მტრად მიმაჩნია. და ეს არის დემოკრატიის პარადოქსი - ამომრჩევლის დაბალი დონე და გამყიდველობა. მთელი ქვეყანა საარჩევნო კამპანიად იქცა, მერედა რისთვის? ღირს ამდენი ფულისა და ნერვების ხარჯვა?რა უჯდება ქვეყანას ხელისუფლება, ათასი უწყებები, სამთავრობო და არასამთავრობოები, რომ დავიანგარიშოთ მძიმე სურათს მივიღებთ, ხალხი შრომობს, სიმდიდრეს ქმნის, ვიღაც კი ითვისებს უთავბოლოდ. დროს ატარებს საზღვარგარეთ ვოიაჟებით. ესეც ჩვენი დემოკრატიის პარადოქსები.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ართულებს გარე ფაქტორები, რუსეთმა თავისი წაიღო, არც ამერიკა გვეშვება, თავისი ინტერესები აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით. მოკლედ ივანიშვილი ჭრელი პეპელას როლშია, არც ერთს უნდა აწყენინოს და არც- მეორეს, ორივე თავისას ითხოვს, ქვეყანაც ორადაა გაყოფილი. ამერიკას აწყობს რუსეთთან კოფლიქტური ვითარება და ,,ნაცებიც" მათი გინების მეტს არაფერს აკეთებენ, თუმცა, სტრატეგიული ოქბიექტები ჩალის ფასად მიყიდეს ნახევარი საქართველო. ვინ დაიჯერებს, რომ ამათ ადარდებთ აფხაზეთი, სამაჩაბლო, რომელიც თავად ჩააბარეს. ამერიკა აგრძელებს მათ მხარდაჭერას დემოკრატიის საბაბით. კოჰაბიტაციაც მათ შემოაგდეს -მთავარ ოპოზიციურ ძალად მონათლეს. ასეთ თავსმოხვეულ დემოკრატიას მოჰყვა ნეოფაშიზმი ,,ნაცების" სახით. პროპორციულ არჩევნებს გვიკიჟინებენ, როცა თავად მაჟორიტარული არჩევნები აქვთ. პროპორციული არჩევნები ჭრელ პარლამენტს მოგვიტანს და სკამებისთვის ერთმანეთს დაერევიან, თუმც, არამგონია ,,ნაცები" მთავარ ძალად შევიდეს, არც ,,ოცნება იქნება კარგ დღეში", ამიტომაც თავს იკავებს ივანიშვილი. ახლა მტერ-მოყვარე ერთად შეიყარა მის მოსაცილებლად, მაგრამ, ვაი თუ მოსანატრებელი გაგვიხდა. ამ კაცს არც არჩევნები ჭირდება, არც ქონება და არც ფული, მანამდეც ბევრი დაახარჯა ქვეყანას, მაგრამ გვიჭირს ამის აღიარება. ის უნდა დაბრუნდეს რეალურ მმართველად ან გზა დაუთმოს 30 პარტიას, იქნებ სადმე ჭკვიანი გამოერიოს.

დღევანდელი პარლამენტი მთავარ მიზანს აცდენილია,ნახევარი ქუჩაში დარბის და პლაკატებს აკრავს, მეორე ნახევარიც ყოყმანობს, არ იცის საით წავიდეს, ვის მიეკედლოს, რომელ ბანაკში გადაბარგდეს. ქვეყანა ტოლვილთა ბანაკად იქცა, ოკუპანტი შიდა და გარეშე მტერია, მხოლოდ ერთობით შეიძლება დავსძლიოთ წინაალმდეგობები, რუსებსაც მოვთხოვოთ პასუხი დანაშაულებისთვის, მგრამ ისევ ,,ნაცების" წამოწევა უარეს დღეში ჩაგვაგდებს და ვინც მას მხარს უჭერს ქვეყნის მტერია, გინდ იყოს რუსეთი და გინდაც ამერიკა.

სამწუხაროდ, მათი დანაშაულები ,,ოცნებისთვისაც" ვერ იქნა გაკვეთილები.ვითომ სასამართლოს და პროკურატურის არჩევნები, ტენდერების სათავისოდ გამოყენება და უამრავი ჩაშლილი სამუშაოები. ქვეყანა 2 ბანაკადაა გაყოფილი თავის პარტიებითა და ტელევიზიებით, სადაც პოლიტიკის გარდა არაფერია ასახული - თითქოს არ იყოს ხალხი, ცხოვრება, ადამიანთა ურთიერთობები, ღმერთი და ზნეობა. მხოლოდ შანტაჟი, დეზინფორმაცია, ოპონენტების გინება,სპეკულაცია ყველაფრით,მათ შორის ხალხის გაჭირვებით. ვის გაუგია ცოლქმრლი ტელევიზიები, როგორც პირადი ანგარიშწორების იარაღი, დემკრატიას ამოფარებულები ჟურნალისტური ძიების საბაბით აშანტაჟებენ ადამიანებს. ჟურნალისტობიდან მწერლობამდე ერთი ნაბიჯია,რომელი ჟურნალისტი ან მწერალია ესენი?

მიდის ბრძოლა ვინ გაიმარჯვებს, ,,ოცნება" თუ ,,ნაცები", სამწუხაროდ ნაციონალური ოცნება ვერ აგვიხდა, ვერ გრძნობს ლაღად თავს ქართველი-ისევ ოცნებაში ვცხოვრობთ. აი, ვისი გამარჯვება უნდა იყოს მიზანი. 30 წელია არ დამთავრდა პარტიული კინკლაობა. ვინ შემოაგდო ეს დემოკრატია ძვალივით, აქეთ-იქეთ რომ დაათრევენ. მთავარია ყურადღების გადატანა, რათა თავიანთი საქმე აკეთონ. სპეკულაცია ყველაფრით, ღმერთით, სამშობლოთი, დემოკრატიით, განა დაცინვა არაა სააკაშვილ-ბოკერია სანთლებით?დემოკრატიის ნიღბის ქვეშ ცხოვრებამ დანგრია ქვეყნის მომავალი, 30 წელია საქართველოს პოლიტიკური გზა - ერთ წრეზე გადის. სააკაშვილი მიხვდა, რომ ციხეგამოვლილი, დაბოღმილი მერაბიშვილი არ გამოადგება და პოლიტიკიდან განრიდებას ურჩევს, ასე იყოფიან ,,პოლიტიკური მეგობრები" ახალ-ახალ პარტიებად.

..ოცნების" ბრალია, ბევრს ,,ნაცები" მოანატრეს და დაავიწყეს ათასი უბედურება. ხელისუფლების დამხობა ისევ ხალხის იმედად უნდათ, მაგრამ რატომ ჰგონია სააკაშვილს, მერაბიშვილს, ,,ნაცებს" რომ ხალხს ესენი მოენატრნენ, მიუხედავად იმისა ,,ოცნებამ" არ გაამართლა ბევრ რამეში. შემირცხვენია ოქრუაშვილის, მელიას, მერაბიშვილის დასამხობი სახელმწიფო, ესაა დემოკრატიის ნაყოფი? ამითაა ფეხმძიმე საქართველოს დემოკრატიული მომავალი?

მავანი ისევ გაიძახის ჩვენ ვართ საქართველოს მომავალი, ივანიშვილი უნდა გავუშვათო, არადა 8 წლის უკან მის ფეხქვეშ იყვნენ გართხმული-მიშა მოგვაცილეო, ახლა მიშას თხოვენ ბიძინას მოცილებას. ასე მიუბრუნდნენ ივანიშვილს თავის დაპურებული ბიჭები, ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი პრემიერი და ა.შ. ივანიშვილს მისი ცოდვები ეყოფა, მაგრამ, ამათ კაცობაზე რა უნდა ვთქვათ, ეს ხომაა პოლიტიკური პროსტიტუცია?

ამდენ ბრძოლაში ხალხმა დაკარგა იმედი-უმთავრესი, რომელიც ყველაზე ბოლოს კვდება. სხვათაშორის ეს იმედი იყო სსრკ-ს დროს, რომ მშიერი არ მოკვდებოდა კაცი და ავადმყოფობისაც არ ეშინოდა. ახალა ყველაფრის ეშინია, მთავრობა ცალკეა, ხალხიც - ცალკე, ეკლესია ცალკე,ხალხი -ცალკე..

ეკლესია უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და ეს არის ქრისტიანი პოლიტიკოსის აღზრდა და არა ქვეყნის დამანგრეველის. განხეთქილებაა ეკლესიაშიც, აქაც შეაღწია პოლიტიკამ, სიყვარულზე ქადაგებს ანტიქრისტე, მერე ციანიდით დარბიან და მონანიებას ითხოვენ. პოლიტიკური ბანდიტები ღვთის მოსავებად გამოყავთ. ესაა სამშობლოს სიყვარული? სამშობლო იმდენად ტევადია თავისი ისტორიით, ქრისტიანული რწმენითა და თავისი წესით, ხელოვნებით, კულტურით, მთელი ცხოვრება უნდა ეფერო და ბოლომდე ატარო მისი სიყვარულის მძიმე ჯვარი. ჩვენ კიდევ სამშობლოს ცნება საერთოდ ამოვაგდეთ, მხოლოდ დემოკრატია, ძალაუფლება, ფულის შოვნა, კაცის კვლა. სიზმარივით გაიქროლა 30-მა წელმა დაუსწრებელი, უგემური ცხოვრების, მიუწვდომელი ოცნების. სახელმწიფო ერთეულებმა გადაინაწილეს თავისი სტრატეგიული ობიექტებით. ყიდიან სტრატეგიულ ფუნქციასაც. თუმცა, შენდება სასახლეები, ლამაზდება ქუჩები და პარკები, მაგრამ ხალხ უნდა ეცხოვრებოდეს პირველ რიგში.

ვიღაც მდიდრდება ხალხის ჯანმრთლობისა და სიცოცხლის ხარჯზე, წამალი ვერ გიყიდია კაცს, ადამიანები მდიდრდებიან სხვათა ბედნიერებისა და სიხარულის ხარჟზე. ბანკის სესხიდან ვერ დაგიძვრენია თავი, რა ყოფნაა ეს, ფსიქოზი, წვალება. სახელმწიფო არ უნდა იყოს დამოკიდებული პარტიულ ჯგუფებზე, ქვეყანა უფრო დიდია ვინემ პარტია თუ მოძრაობა? შეიძლება პოლიტიკური ელიტა ორად გაიყოს მხოლოდ ქვეყნის ინტერესების გამო, მის საკეთილდღეოდ და სადიდებლად. აი, ასე მესმის მე დემოკრატია.

ზურაბ აბრალავა

ერთი წელი გარდაცვალებიდან

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

# გერონტი კუხალეიშვილი

## 20 წელი - საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად, მზრუნველად და მოამაგედ!

## სიცოცხლე, რომელიც ფოთს მიეძღვნა



ერთი წელი გავიდა ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის გერონტი კუხალეიშვილის გარდაცვალებიდან.

ბატონ გერონტი კუხალეიშვილს სიცოცხლე მთლიანად ფოთს მიეძღვნა, მისი ცხოვრების გზა ფოთის სიყვარულზე გადიოდა და დაუდგა კიდეც ძეგლი მას მხურვალე შრომით, ნიჭით, მონდომებით, - როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, ეროვნულმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება. 50 წელი გაატარა მშობლიურ ქალაქის აღმშენებლობაში, მათ შორის 20 წელი-ქალაქის თავად! არ არის იოლი უხელმძღვანელო იმ ქალაქს, რომლის ისტორიული მემკვიდრეობა მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან დგას

სოციალურ - ეკონომიკურ აღმშენებლობას უერთებდა სულიერებას,ღვთიურობას, რწმენას-როგორც სიცოცხლის არსს. მას, როგორც მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელს, მნიშვნელოვანი წილი მიუძღვოდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღდგენაში.

გერონტი კუხალეიშვილი დაიბადა ქალაქ ფოთში. 1951 წელს დაამთავრა ფოთის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრო-მელიორაციულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ - ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.

1956-1959 წლებში მუშაობდა ტრესტ „კოლხიდმშენის" ხობის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრად, მოგვიანებით დაწინაურდა ერთ-ერთი უბნის უფროსად.

1959 წლიდან კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოზეა, იყო კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის, შემდგომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

1971-1991 წლებში ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა, იმავდროულად 1990-1991 წლებში აირჩიეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

მომდევნო წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატის ფოთის ბიუროს უფროსად, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ბიუროს უფროსად, საქართველოს კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მთავარ მრჩევლად.

2009 წლიდან არჩეულია „ფაზისის "საერო - სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 2010 წლიდან თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარედ.

ბატონ გერონტის უკავშირდება ქალაქის დიდი ისტორიის პატივგებისა და სახალხო დღესასწაულის - „ფაზისობის" დაწესება, რომელიც 1975 წლიდან აღინიშნება და სანიმუშოა მრავალი პარამეტრით, როგორც წარსულის და თანამედროვეობის თანაარსებობის მაგალითი - გამაერთიანებელი მშობლიური ქალაქის აღმშენებლობისთვის.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები: მედლები „შრომითი წარჩინებისათვის", „მამაცური შრომისათვის", „საპატიო ნიშნის", „შრომის წითელი დროშის", „ღირსების" ორდენებით, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, სახალხო მეურნეობის გამოფენის ოქროს მედლით.

*საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 ივლისის განკარგულებით გერონტი კუხალეიშვილი დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.*

არჩეული იყო ფოთისა და დაძმობილებული ქალაქების - ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯიის შტატის ქალაქ ლაგრანჟესა და საბერძნეთის ქალაქ ნავპლიონის საპატიო მოქალაქედ.

გერონტი კუხალეიშვილმა ღირსეული კვალი დატოვა საპორტო ქალაქის საზოგადოებრივი-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში-ეს იყო აღმშენებლობის პერიოდი, იგი დიდი ნიკო ნიკოლაძის საქმის გამგრძელებელი გახლდათ და ყველაფერს აკეთებდა, რათა ფოთს - როგორც ევრაზიის ფორფოსტს ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიო რუკაზე.

სიცოცხლის ბოლო დღემდე აწვალებდა მშობლიური ქალაქი და მისი მომავალი. ჩვეული შემართებით ხელმძღვანელობდა საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი სათათბიროს საქმიანობას, ფოთის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა-იყო მარადიულ ჭიდილში ქალაქის მარადიულ პრობლემებთან და იმ ქვეყნადაც ეს დარდი მიყვება.

იშვიათად იბადებიან ადამიანები ასეთი სახელმწიფოებრივი ხედვითა და პასუხისმგებლობით. ბატონი გერონტი, მიუხედავად პოლიტიკური სისტემების ცვლილებებით გამოწვეული სირთულეებისა, არასდროს ჩამოსცილებია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. ისევ შემართებით, მდიდარი გამოცდილებითა და ერუდიციით იღწვოდა ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო მშენებლობისათვის.

ბატონი გერონტი ფოთელებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის იყო გზის გამკვალავი, დამრიგებელი და მეგობარი, ძალიან უნდოდა მათ ეცხოვრათ ევროპული ტიპის საპორტო ქალაქში.

გაჩერდა გუსილცემა იმ კაცისა, რომელმაც მთელი ცხოვრება ფოთის მომავალს მიუძღვნა და ყურს უგდებდა მის მაჯისცემას. ყოველივე დიდებულად ასახა ავტობიოგრაფიულ წიგნში „მომავლის წარსული", რომელიც დიდი საჩუქარია ახალი თაობისათვის.

იცხოვრა დროის სამივე განზომილებაში და სამივეს წარუშლელი ძეგლი დაუდგა, რასაც მშობლიური ქალაქის-ისტორიული ფაზისის, საქართველოს საზღვაო კარიბჭის სიყვარული ქვია, რაც მუდამ იქნება ორიენტირი მომავალი თაობებისათვის.

სიყვარული სიყვარულის წილ - დიდი ღვაწლისათვის, უანგარო სამსახურისთვის, ბატონო გერონტი, ქუდს გიხდის ფაზისქალაქი და უკანასკნელ გზაზე სინანულით მიგაცილებს.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ფაზისის მიწა, რომელიც ასე გიყვარდათ და ემსახურეთ როგორც შეგეძლოთ, მთელი ძალითა და მონდომებით.

ღმერთს ებარებოდეს თქვენი დიდებული სული.

რაც დრო გადის ნაღვაწი უფრო თვალსაჩინო ხდება და კიდევ უფრო მოგვენატრება ბატონი გერონტი კუხალეიშვილი -ფაზის ქალაქის დიდი თავკაცი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი სათათბირო

## კუნძულის უბნის სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია გრძელდება



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელებაზე.

კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია საფეხმავლო გზისა და ველობილიკის მოკირწყლვა, ჯებირების რეკონსტრუქცია, დასასვენებელი ნაგებობების, ვეტერანთა სახლის, მინი სპორტული სტადიონისა და 270 მაყურებელზე გათვლილი, ჩოგბურთის კორტის მშენებლობა.

სამუშაოების ღირებულება 1 841 155 ლარს შეადგენს. სამუშაოები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ მერის წარმომადგენელთან და მშენებლებთან ერთად კუნძულის უბნის მოსახლეობას ადგილზე გააცნო სანაპირო ზოლზე განსახორციელებელი სამუშაოები.

## იაზდის დელეგაციის ვიზიტი ფოთში




ფოთს სამუშაო ვიზიტით ირანის ისლამური რესპუბლიკის ქალაქ იაზდის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: იაზდის მერი– ჯამალოდინ აზიზი ბონდარაბადი,მოჰამად იარმანდი, იაზდის რეგიონული საბჭოებისა და საქალაქო საქმეთა გენერალური დირექტორი და ელაჰე ჯურაბი– ქალაქ იაზდის საკრებულოს წარმომადგენელი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში სტუმრებს ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია და მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ირანის გენერალური საკონსულოს მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი აჰმად ბადფა და საკონსულოს სხვა წარმომადგენლები. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ქალაქ ფოთისა და იაზდის დამეგობრების შესახებ, რაც ითვალისწინებს ორ ქალაქს შორის ეკონომიკურ, კულტურულ, ჯანდაცვასა და სხვა სფეროებში ურთიერთთანამშრომლობას. დაგეგმილია შეხვედრები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, სტუმრები დაათვალიერებენ ფოთის ღირშესანიშნაობებს, სამრეწველო ზონასა და ინვესტორებისთვის მიმზიდველ ობიექტებს.

## მიმდინარეობს პენსიონერათა სახლის მშენებლობა



დიდი კუნძულის უბნის საზღვაო-სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის და მშენებლობის პროექტის მეორე რიგის სამუშაოების ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა „ზ.მ, ჯგუფი. გენერალური დირექტორი ზაზა მაღლაკელიძე 17 თებერვლის მდგომარეობით სამუსაოები, რომელიც ითვალიწინებს ჯებირის რეაბილიტაციას, სავალი გზების მოპირკეთებას და მრავალი სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა დაწყებულია და სულ მალე პენსიონერებს ექნებათ თავიანთი სახლი, სადაც უამრავი ღონისძიებები ჩატარდება, რითაც გამოცდილი ადამიანები აქტიურად ჩაებმებიან, ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## თეატრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე განხორციელდა სარდაფის, სახურავის, სამსახიობო და საგრიმიორო ოთახების, შიდა ფასადის რემონტი, რეაბილიტირდა ვენტილაციისა და გაგრილების სისტემები. მეორე ეტაპზე დაგეგმილია შენობის გარე ფასადის რემონტი. სამუშაოების მიმდინარეობას ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია პირველ მოადგილესთან კონსტანტინე თოფურიასთან ერთად გაეცნო. თეატრის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

მილოცვა **ნუგზარ ნადარაია-75**

# 26 თებერვალს დაიბადა დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ ნადარაია



*რა სწრაფაად გაირბინეს წლებმა და დაგვიტოვეს დიდი გადასახედი.*

წლები ჩემი სიმდიდრეა-თამამად შეუძლია თქვას ბნ-მა ნუგზარმა, მაგრამ ჩვენ უფრო შორს წავალთ, რამეთუ ეს წლები ქვეყნის სიმდიდრეცაა, დატვირთული სახელმწიფოებრივი ზრუნვით ახალგაზრდობიდან ჭარმაგობამდე. ორ წყობაში, ორ საუკუნეში იცხოვრა და დაამტკიცა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება.განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაუზოგავი მოღვაწეობა ქვეყნის აღმშენებლობისათვის ხობსა და ბათუმში.შემდეგ კი ეროვნულ - საზოგადოებრივი და - სამეცნიერო საქმიანობა ,,ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტის რანგში. ბნ-ი ნუგზარის ინიციატივით წმინდანებად შერაცხეს გიორგი ჭყონდიდელი და ცოტნე დადიანი. ფოთში მერად მოღვაწეობის დროს სამეგრელოს მოედანზე დაიდგა ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლი. კოლხეთის ისტორიის კვლევას მიეძღვნა აკადემიის ჟურნალ ,,ცოტნეიდელის 10 ტომი,, ბნ-ი ნუგზარ ნადარაია კვლავაც ჩვეული შემართებით იღწვის ქვეყნის სულიერი და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის. აქვე გთავაზობთ მის წერილს სამომავლო სურვილებსა მიზნებზე. ვულოცავთ კაცობის, სიყვარულისა და მეგობრობის დიდ მაესტროს დაბადების დღეს,დაე კვლავაც დიდხანს იყოს ასე მხნედ და ჯანმრთელად ერისა და ქვეყნის სამსახურში.

************

## *აი, რას ვისურვებდი!*

ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი, დიპლომატიური და ახსნა-განმარტებითი დიალოგის გზით აღდგენას, ქვეყნის აღდგომასა და გაბრწყინებას, ანუ მაღალი ღმერთის მადლით ,,მზინ ღამეს, ვითარცა აღსდგა წმინდა ლაზარე. ჩვენი მამულის სოციალურ-ეკონომიკური კულტურულ-სპორტულ აღმავლობას, ერის გამრავლებას; საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის წმინდა ილია მეორე აღმაშენებლის ჯანმრთელობასა და მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ყოველთა ქართველთა გასახარად და სასაიყოდ; მის უწმინდესობას გვერდით დადგომოდეს ღვთის მადლითა და ნებით მესია წმინდა მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის ტოლფასი, ერის პატრონი და წინამძღოლი; წმინდა გიორი ჭყონდიდელის და წმინდა დავით აღმაშენებელის ისტორიული ტანდემის ქართული რენესანსის ეპოქის განმეორებას; წიგნთა უპირველესი წიგნის ბიბლიისა და შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის" საკაცობრიო ცივილიზაციის მშვენი, ისტორიული გმირების, მაღალი გზნებით,აფორიზმების ცხოვრებაში რეალიზაციას, ამაღლებული ზნეობის, პატრიოტიზმისა და მამულიშვილობის სულიერებით და ნიჭის უფლებით ,,ფულის უფლებაზე" გამარჯვებას; ჩემი მეგობრების ოჯახების გამრავლებას, ბედნიერებას და გამარჯვებას; ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილის ნინოს ძმის -ცოტნე ნადარაიას დაბადებას და და-ძმის ჭყონდიდელ- ცოტნეიდელებად აღზრდას, რათა იყვნენ ქრისტეს გულმხურვალედ მოყვარულები და მოშიში ღვთისა, განამტკიცონ მართლმადიდებლობა მათ გარშემო მყოფ დადნაფიცებსა და ძმადნაფიცებში, დაამარცხონ შადიმან-ფარსადანობა, პირნათლად აღასრულონ უფლის მცნებანი და დადონ სული თვისი მოყვასის, მამულისა და დედაეკლესიის სადიდებლად... ამინ!

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე ქაშვეთის 100 წლოვანი ტაძრის წინ, ილიას და აკაკის ერთობლივი ძეგლის ანალოგით დავდგა: მცხეთაში, ზუგდიდსა და არქეოპოლისში (სენაკი) იმერ-ამერის ერთიანობის სიმბოლოდ ქცეული ფარნავაზისა და ქუჯის ერთობლივი ძეგლები და მონაცვლეობით ყოველი წლის 14 აპრილს-დედაენის სახალხო დღესასწაულის დღეს, მორიგეობით დასახლებულ გეოგრაფიულ ცენტრებში ჩამატარებინა სახალხო დღესასწაულები- ,,ფარნავაზი და ქუჯი -ქვეყნის ორი დასაყრდენი და გამაერთიანებელი ბურჯი"... ამინ! ასევე, ლევან დადიანის ძეგლი წალენჯიხაში, სადაც დაკრძალულია დიდი მთავარი; მარტვილში კი საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული წმინდა კათოლიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას სახლ-მუზეუმი ამაგებინა და კეთილმომაწყობინა მისი კარმიდამო; მესიის-მეფედ მეფის წმინდა დავით აღმაშენებლისა და მისი აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელის (გ. ბედია) ერთობლივი ძეგლი დამადგმევინა მარტვილში, იმ მთაზე, რომელზედაც დაბრძანებულია ჭყონდიდის ეპარქიის ისტორიული საკატედრო ტაძარი, შესაბამისი მასშტაბის ქრისტეს ჯვრის გამოსახულებით,რომელიც თავისუფლად აღიქმება ბარიდან, რამეთუ, გადმოჰყურებენ რა სრულიად კოლხეთს; დამამთავრებინა კონსტანტინე გამსახურდიას კაპიტალური სახლ-მუზეუმის დაწყებული და წლების განმავლობასი დაკონსერვებული მშენებლობა, კეთილ მომაწყობინა მისი კარმიდამო აბაშაში;ხობში დამადგმევინა ,,მოკავშირე" ბერძენთა მიერ მუხანათურად,მოწამლული ისრით განგმირული და კოლხეთისთვის თავშეწირული ლაზი გუბაზ მეფის ძეგლი; ჩამატარებინა ზემოთდასახელებიული მამულიშვილების ღვაწლის პატივგების ნიშნად სახალხო დღესასწაულები, დამარქმევინა ქალაქ ფოთისთვის ისტორიული სახელი ფაზისი.

თუ ეს სურვილები, ვინმეს ერთი კაცისთვის გადაჭარბებულად, არარეალურად და მიუღწევლად მოეჩვენება, ვისურვებდი, რომ ჩემს შთამომავლობას განეხორციელებინოს ყოველი და სამოქმედო ანდერძად დაეტოვებინოს თავისი ნაშიერისათვის.

დაე, ქვეყანას და ქართველ ხალხს აღაფრთოვანებდეს, რაზმავდეს და სამოქმედოდ განაწყობდეს მაღალი ზნეობა, უფლის სიყვარული და დამსახურებული მადლი გადმოსული მართლმადიდებელ ქართველ ქრისტიანებზე... ამინ!

გაზეთმა ,,ფაზისმა" სპეციალური ნომერი მიუძღვნა ნუგზარ ნადარაიას, სადაც არის ცნობილი ადამიანების მილოცვები და შთამბეჭდავი პუბლიკაციები, წერილები.




---

**დროს მიაქვს ყველა ძველი, ჩვენი კაცობის გარდა.**

**მილოცვა ელდარ მხეიძეს დაბადების დღესთან დაკავშირებით**



დღესასწაულია მეგობრის დაბადების დღე-მისი ამ ქვეყნადმოვლინება და ჩვენი შეხვედრა, შემდეგ მთელი ცხოვრება, ლამაზი ურთიერთობა, სიყვარული და პატივისცემა, ბატონი ელდარის ამ ულამაზეს დღეს, დაბადების დღეს-15 თებერვალს სულ სხვა ელფერი ექნებოდა, რომ ქალბატონი იზო კვარაცხელია - მისი მეუღლე და მეგობარი ადრე არ გარდაცვლოდა, დიდი დარდი დაუტოვა და ვერაფერი შეავსებს ამ სიცარიელეს, ის იყო ყველა ჩვენი სტუმრების დიდი მასპინძელი, დიდი კულინარი, მეგრული სამზარეულოს დიდოსტატი. მხეიძეების ოჯახში საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების, კულტურის, ხელოვნების დარგის კორიფეების უმეტესობა ნამყოფია და დღესაც კმაყოფილი არიან ამ საოცარი სტუმარ-მასპინძლობით

ცხოვრება გრძელდება, მას ცხოვრებას უხალისებენ შვილი ნანა მხეიძე-სამედიცინო სამსახურის კარგი ხელმძღვანელი, სიძე- წარმატებული ბიზნესმენი რეზო შულაია, შვილიშვილები უკვე სტუდენტები არიან, როგორ გარბის დრო, თითქოს გუშინ იყო- ბაბუ ბაღში რომ დაატარებდა. ბევრი სიკეთე გვახსენდება ამ ენერგიული, შრომისმოყვარე კაცისგან, მუდამ გვერდში მდგომი და იმედი ახლობლების და მეგობრების. ,,ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი, ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილეა. ასე, რომ ასაკი არ ეტყობაჭარმაგ კაცს.

ბრწყინვალედ გვითამადა მისმა ძმამ ვაგნერ მხეიძემ, თავს დაგვსტრიალებდა ჩვენი დიდი რძალი და დიასახლისი, ,,ფაზისის" აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი დოდო ხუხია.

კვლავაც დღეგრძელობას, შვილიშვილების ბედნიერებას ვუსურვებ ბატონ ელდარ მხეიძეს.

დაე, ყოველთვის ეთქვას ,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე"!.

**შენი მარადი მეგობრები**

---

*ნაპო თოდუა*
*ცნობილი მეჟუჟკრე და სახალხო მთქმელი*



**ამგვარი**

შენ თუ მოგსვლია ამგვარი,
არც სახელი ვიცი, არც გვარი,
ერთხელ შეხვედრამ მომნუსხა,
თითქოს გამხადა სხვაგვარი.
მაფიქრებია საწუთროს,
უმრავლოს მაგის მაგვარი!

**წყენა**

ის რაც სხვისგან გწყენია,
სხვისთვისაც საწყენია,
თუ სხვათმას ვერ პოულობ
დიდი გულსატკენია,

**წესიერი**

ყველა წესიერს ვალდებულება

დისკომფორტს უქმნის შესტუმრება
არ შესტუმრება არასდროს მიჰყავს
ამ უზნეობის შეგუებამდე!

სხვას!

თუ სხვას ცუდად გიხსენებენ,
ინტერესი არ გარგებს,
ვინც გიყვება უნდა მიხვდეს,
მის იმიჯს ეს არ არგებს!

დარდი

ყველა გულს აქვს მისი დარდი,
რომ ახაროს მისი ვარდი,
უვარდოდ კი ამ ცხოვრებას
არ აცხია უფლის მადლი.

ირას!!

სამოთხის ბაღში გიხილე,
და ამშვენებდი ბუნებას,
შენ ნებისყოფა კი გყოფნის,
რომ აღარ აყვე ცდუნებას,
პირადი საქმე აგვარე,
ნუ გადაყვები ცდუნებას!!

სხვა გაზეთებიდან

# ქართული ხალხური სიმღერის ოსტატი შოთა აბრალავა



მეგობრები: კუკური ესაკია, გერონტი კუხალეიშვილი, ემზარ კიკიანი ჟურნალისტ შოთა აბრალავასთან ერთად

ქართული სამუსიკო ფოლკლორული ჭეშმარიტად წარმოადგენს ქართული ხალხის თავისებურ ყოფა ცხოვრებასა და მსოფლშეგრძნების მხატვრულ ასახვას. ქართულ სიმღერებში აღიბეჭდა არა მარტო ერის მდიდარი სულიერი სამყარო, არამედ მისი ორიგინალური მუსიკალური აზროვნების თვითმყოფადობაც ცნობილი მუსიკის მცოდნე აკადემიკოსი ბ. ასაფიევი ეხება რა ქართულ ხალხურ მრავალფეროვნებას, ახასიათებს მას როგორც განსაცვიფრებელ და ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის წინაშე ქედმოხრის შთამაგონებელ მოვლენას".

საუკუნეთა მანძილზე წარმოშობილი მშობლიური სამუსიკო ფოლკლორი, გამდიდრებული ახალი სიმღერებით, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უძვირფასეს განძს წარმოადგენს.ამავე დროს იგი მსმენელთა ესთეტიკური ტკბობისა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი შთაგონების უშრეტი წყაროა.

,,სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ ქართვული ხალხური და პროფესიული მუსიკა წარმოადგენს ეჭვმიუტანელ მხატვრულ და მეცნიერულ-შემეცნებით ინტერესს ყველა მათთვის, ვინც სერიოზულადაა დაინტერესებული ზოგადსაკაცობრიო სამუსიკო კულტურის მრავალმხრივ მოვლენათა ღრმა შესწავლით"-წერდა ცნობილი მუსიკის მცოდნე პავლე ხუჭუა.

კაცობრიობის მართლაც გამორჩეული ფენომენის-ქართული ხალხური მუსიკის ჭეშმარიტი მსახური და ქომაგია ფოთის ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, გაზეთ ,,ახალი კოლხეთის" პასუხისმგებელი მდივანი შოთა ბაკუს ძე აბრალავა.

გვიან დაბრუნდა სახლში. ფეხით ჩაათავა გრძელი, დაცარიელებული ქუჩა და რატომღაც აკვიატებული აზრი იმისა, თუ რატომ მოიტაცეს ,,არგონავტებმა კოლხას ნაპირებიდან ოქროს საწმისი თავისი სამუშაო ოთახის სითბომდე მიჰყვა. შესასვლელში ნაწვიმარი ქურქი გაიხადა, ფიქრიანი თვალები დიდ შავ ჩარჩოში ჩასმულ მამის სურათს მიაპყრო და რამდენიმე წუთს გარინდული მისჩერებოდა და სურათის წინ კი ჩუმად გაწოლილი ჩონგურის სიმები შეტოკდა და ფიქრთა ჯადოსნურმა კორიანტელმაც წარსულში გადაინაცვლა.

შოთა აბრალავამ ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეიტკბო ქართული ხალხური მელოდიების მომხიბვლელობა, მამამისი -ძაკუ აბრალავა ქართული ხალხური მუსიკის დიდი მცოდნე და ნიჭიერი შემსრულებელი იყო. ოჯახი მაშინ ხაბუმეში ცხოვრობდა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ პატარა შოთას ძალიან ხშირად ესმოდა ჩინებული პედაგოგისა და ხელოვანის დათიკო ფაცაციას, დათა გოგუასა და ძაკუ აბრალავას ხმაშეწყობილი სიმღერები. ალბათ ამიტომ აჰყვა ასე ადრე უფროსებს, 5 წლის იყო, როცა სახალხოდ ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. 12 წლისა კი მღეროდა სკოლისა და სოფლის გუნდში, ხოლო მეცხრე კლასის მოსწავლემ უკვე მოამზადა მუხურის საშუალო სკოლის გუნდი. 15 წლის ჭაბუკს წარმატებით გამოჰყავდა მომღერალთა გუნდები რაიონულ ოლიმპიადებზე და კონცერტებზე.

შოთა აბრალავამ სწავლა ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში გააგრძელა. აქ, მისი ჩამოსვლისთანავე ჩამოყალიბდა მოსწავლეების მომღიმარ-მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელსაც დიდი ენერგია მოახმარა ნიჭიერმა ჭაბუკმა. ანსამბლი დიდი სიყვარულით სარგებლობდა რაიონში. მაყურებელს ატკბობდა შოთას მიერ დამუშავებული და აღდგენილი ხალხური მელოდიები და მსმენელს გულის სიღრმეში წვდებოდა მეჩონგურეთა ანსამბლურობის გასაოცარი ხმიანობა.

შოთას ყველგან სადაც არ უნდა ყოფილიყო, თან მიჰყვებოდა სიმღერის სიტკბო და საიყვარული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ზუგდიდის პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა,მაშინ ამ ინსტიტუტში მეჩონგურეთა ანსამბლს ცნობილი ლოტბარი ბეგლარ აკობია ხელმძღვანელობდა. შოთა ამ ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი გახდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შ. აბრალავა დაუბრუნდა მშობლიურ ჩხოროწყუს, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სოფლის მომღერალთა გუნდს.

1944 წელს შ. აბრალავა ფოთში გადადის საცხოვრებლად. აქ კი უფრო მეტი შესაძლებლობები მიეცა ახალგაზრდა მუსიკოსს. მუშაობა დაიწყო ფოთის რაიონული გაზეთის რედაქციაში და იმ დღიდან საგუნდო ხელოვნებას ჟურნალისტის საინტერესო და მოუსვენარი შრომა დაუკავშირა. მას მაშინვე ჩააბარეს სახელოვანი ტრადიციების მქონე ნინოშვილის სახელობის სარაიონო კლუბის მომღერალთა გუნდი, რომელმაც მრავალფეროვანი რეპერტუარით იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა სწორედ ამ გინდში დაამუშავა ნიჭიერმა მომღერალმა და ლოტბარმა ძველი ხალხური სიმღერები აღსანიშნავია , რომ ამ სიმღერების უმეტესობა საბედნიეროდ ჩაწერილია საქართველოს რადიოკომიტეტის მიერ, შემონახულია და ხშირად გადაიცემა ეთერში.

ბევრი წარმატება და სიხარული ახსოვს შოთა აბრალავას, ფესტივალებზე და ოლიმპიადებზე მიღებული მრავალი შეფასებები, სხვადასხვა ჯილდოები, სიგელები... იგი ხალხური შემოქმედების დარგში, არაერთი მნიშვნელოვანი საქმის ნივატორია. მან ჯერ კიდევ 1954 წელს ჩამოაყალიბა ვეტერანთა მომღერალთა გუნდი. რომელმაც რამდენიმე მივიწყებული ხალხური სიმღერა აღადგინა და შემოუნახა შთამომავლობას.

შოთა აბრალავა-ფოთის საქალაქო გაზეთ,,ახალ კოლხეთის" პასუხისმგებელი მდივანი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ყოველთვის პოულობს დროს საყვარელი საქმისთვის და როგორც ჟურნალისტი აგიტაცია-პროპაგანდასაც ეწევა პრესაში. ქართული ხალხური მუსიკის გადარჩენის გადაუდებელ საქმეში.

1942 წელს, როცა დიდი ომის სამამულო ხანძარი ენთო, ჩხოროწყუს მშრომელებს სტუმრად ეწვია ქართველ მწერალთა გამსვლელი ბრიგადა მხატვრული სიტყვის დიდოსტატის-შალვა დადიანის, პოეტების-ალიო მირცხულავას, კარლო კალაძისა და მწერალ სიმონ წვერავას შემადგენლობით საპატიო სტუმრებს კულტურის სახლთან არსებულმა გუნდმა კონცერტი გაუმართა. სტუმრები მოხიბლულან საოცარი მეგრული სიმღერების მოსმენით. შალვა დადიანს განსაკუთრებით მოსწონებია ახალგაზრდა შოთა აბრალავას მიერ მამანტი კვირტიას ლექსის მიხედვით შექმნილი სიმღერა ,,გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება", რომელიც შემდეგ გულთბილად აღწერა მწერალმა თავის ნარკვევში ,,ლაკადა" შოთა აბრალავას, როგორც ხალხური სიმღერების კარგ მცოდნესა და შემსრულებელს, არაერთი ნიჭიერი მომღერალი აღუზრდია. ბევრი მათგანი ამჟამად სწავლობს ზოგიერთ რთულ ხალხურ სიმღერებს. მათ შორის არიან როგორც ვეტერანი მომღერლები, ისე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. ლაურა გაბედავა, აზა ბერაია, გოგუცა ბარქაია, ნორა გერგაია, მიხეილ გოგებაშვილი, ალექსანდრე დამენია, ვლადიმერ ჯიჯეიშვილი, ლია და ლუიზა ქავთარაძეები, გულნაზ ცარციძე, ვლადიმერ მალანია შალვა ჩახია,ომარ წულაია, სიმონ ჯოჯუა, მირიან ბოლქვაძე, იაკიმე გვასალია, იური ბერაია, ბოჩია იოსავა, სიმონ ჯოჯუა, ამირან გაბუნია, ეთერ ხარბედია, გოგლა გაბელია და სხვები.

შოთა აბრალავასთან მღერიან ქართული ხალხური სიმღერების ბრწყინვალე ოსტატები, ხანდაზმული ძმები, ვარლამ და ბართლომე იოსავები. მღერის შოტა აბრალავას ოჯახის ყველა წევრიც. მის სამუსაო ოთახში მიმოფანტულია ქართული ხალხური საკრავები. შავი ჩარჩოდან ჩოხაში გამოწყობილი, ყელზე ლაბადა შემოხვეული ჭაღარა ულვაშებიანი მოხუცი მამის მომღიმარი სახე შემოცქერის შოტას და თითქოს აგერ, აქვე ყურში ეჩურჩულებოდეს ნაცნობ სიტყვენს:,,შიმშილს მოვითმენ, უსიმღეროდ ყოფნას კი ვერა!"

ოქროს საწმისი კი მოგვპარეს არგონავტებმა, ქართველებს, მაგრამ სიმღერა ვერავინ მოგვტაცა.

ბონდო გაგნიძე

გულითად მადლობას მოვახსენებ გაზეთ ,,მახარიას" მთავარ რედაქტორს ბატონ ბონდო გაგნიძეს მამის გახსენებისთვის

- ზურაბ აბრალავა

## ქალაქ ფოთში, ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა.



ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობა არსებული კონსტრუქციის დემონტაჟს ითვალისწინებს-ტერიტორიაზე ბეტონის საფარის, სანიაღვრე არხების, ღობის, განათების მოწყობასა და სხვა სამუშაოებს.

სამუშაოების ღირებულება 941 276 ლარს შეადგენს. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვის გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერით, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

ავტოპარკი იმ 10 ახალი ავტობუსისთვის შენდება, რომელიც ქალაქს "საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამით", ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით გადაეცემა.

## მერია ელექტრონული მმართველობის ახალ სისტემაზე გადადის




საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელქტრონული სერვისების დანერგვის პროექტის ფარგლებში, ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია მოადგილეებთან ერთად, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (MSDA) თავმჯდომარეს ვახტანგ ჭედიშვილს და პროექტის კოორდინატორს თემურ კაკრიაშვილს შეხვდა. პროექტის ფარგლებში, შეიქმნება ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტი და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (MSDA) ერთიანი ელქტრონული პლატფორმა, რომელიც სამ მიმართულებას - ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების, ელექტრონული განცხადებებისა და გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემებს გააერთიანებს. სისტემის შექმნაზე ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს ანალიტიკოსი ირმა სიხარულიძე მუშაობს. პროექტის შედეგად, მოქალაქეებისთვის მუნიციპალურ სერვისებზე წვდომა გამარტივდება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ნაკლებ ბიუროკრატიას, მეტ გამჭვირვალობასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

# „ფაზისის" აკადემიის მორიგი სხდომა
# ლეონიდ -ლუკა კაზანჯი - ახალგაზრდა მეცნიერი, კოლხეთის მკვლევართა ახალი დიდი შენაძენი



„ფაზისის" აკადემიის მორიგი სხდომა გახსნა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა ქალბატონმა **დოდო ხუხიამ**, რომელმაც აკადემიის მოწმობები გადასცა ახალ წევრებს, შემდეგ აუდიტორიას წარუდგინა სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი , კოლხეთის ისტორიის მკვლევარი ავტორი წიგნისა „სინათლის ფიქრები და წყვდიადის ამოცანები"-ლეონიდ-ლუკა კაზანჯი, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ცნობილი იურისტის, **მარლენ კაზანჯის** შვილი. პირველი ნაშრომები კოლხეთის იბერიის საკითხებზე მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა, კოლხეთის მკვლევარებს და, კერძოდ, ფაზისის აკადემიას შეემატა მომავალი დიდი მეცნიერი, რომელიც გააგრძელებს წინა თაობების შრომებს ამ უმნიშვნელოვანესს საკითხზე, რამეთუ საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი არ არის ცნობილი.

წარმატებები უსურვეს მომხსენებელს სამეგრელო-ზემოსვანეთის კოორდინატორმა ვაგნერ მხეიძემ,აკადემიის წევრებმა, აკადემიკოსებმა ნაპო თოდუამ, თამაზ პაჭკორიამ, ზურაბ აბრალავამ, ალეკოგვასალიამ.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ლუკა კაზანჯის პედაგოგები **ნანა კაკანაძე,ნონა ჩხეიძე,** ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი **მანანა სანაია,**

აქვე გთავაზობთ მოხსენების ნაწილს წიგნიდან „კოლხეთის ისტორიული მეტაფიზიკური მისია".

## I ნაწილის წინათქმა

მსოფლიო ისტორია ერთ დიდ კოლხურ მუხას ჰგავს,რომლის პალეოკავკასიურ ფესვებს მედიტერიანული მდინარეების ატლატიდურ-დემურიულ-არიულ სათავეებთან მივყავართ.

კავკასიური რასა კაცობრიობის მრავალმხრივ პროგრესირების პროცესის წარმმართველი ძალაა, თუმცა რასაკვირველია მსოფლიო ისტორიაში სხვა რასებსაც შეაქვთ არცთუ უმნიშვნელო წვლილი. კოლხური კულტურა გახლავთ სისტემატიზატორი დასავლური აგნოსტიციზმისა და აღმოსავლური ჰიმნოსოფისტიკისა და კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცივილიზაციის შესწავლის გარეშე მართლაც შეუძლებელია ჩვენი სამყაროს წარსულის, ერთი შეხედვით, გაუვალ ლაბირინთებში გზის გაკვალვა. კოლხეთი-იბერია-ქალდეა ერთგვარი თეოგენიურ-კოსმოგონიური ჰაგია ტრიადაა (წმიდა სამება), რომელთა ფუნქციები თან მკვეთრად გახლდათ გამიჯნული და თან ჰარმონიულად განვითარებადი ბუნებაც ჰქონდათ კეროდ, კოლხეთი ქმნიდა, იბერია ავითარებდა, ხოლო ქალდეა ანმტკიცებდა.

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში არცთუ ვრცლად და ობიექტურად გახლავთ შესწავლილი ქართველური ცივილიზაცია. ეს წიგნი ჩემი აზრით დაეხმარება სხვადასხვა დაინტერესებულ მკითხველს კავკასიის ისტორიისა და ეზოთერული დანიშნულების შესწავლაში.

## კაცობრიობის თეოგენიურ-კოსმოგონიური წარმოშობა

რა არის სამყარო?-თუ არა მათემატიკური ობსტრუქციების შემცველ ფილოსოფიურ სუბსტრაქციათა, აბსტრაქტულ ცნებათა ერთობლიობად გარდაქმნილი ეგზისტენციალური უსასრულობა?

სამყარო შესაძლებელია წარმოვიდგინოთ რეტროსპექტიული (გარეგანი) საზრისების და ინტროსპექტიული (შინაგანი) საწყისების შერწყმის შედეგად. აღნიშნული ფენომენი კოსმიური სუბსტრანაციაა (განზოგადებული არსი). კაცობრიობა ღვთაებრივი სულიერებით გაჟღენთილი უნივერსალური მაკროსოციუმია. ადამიანს აქვს ერთი ჩვევა -ფრონესის (გონიერება) და გამორჩეული უნარი - ნიმესის (მსჯელობა). სწორედ გონებისა და მსჯელობის განმსაზღვრელი ობიექტივისტური რეალიების კომბინირებას ძალუძს ადამიანის მოაზროვნე ინდივიდად გარდაქმნა. (ვგულისხმობ სწორ აზროვნებას, ადამიანი ისედაც მოაზროვნედ იბადება). გონება გახლავთ ფილოსოფიური სუბსტანციებისა და მეტაფიზიკური რეალიების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მსოფლიო გონის მოქმედების პროცესს. გონიერი ადამიანი აბსოლუტურად დაეთანხმება დიდ ფრანგ მოაზროვნეს რენე დეკარტს - „დენტრას კომო ასი აიპტეს" - ვაზროვნებთ, მაშასადამე ვარსებობთ".

ზოგადად, სამყარო შეიქმნა კოსმიური ენერგიისა და თეოსოფიური ობსტრუქციების შერწყმის შედეგად. ჩემი აზრით, აღნიშნულ საწყისთა წყარო - ღვთიური რწმენა, სტოიკური სიბრძნე და ეგზესტენციური ცოდნაა.

სამყარო შექმნა ღმერთმა, თუმცა ვერავინ ამბობს და ხსნის, რა არის და ვინ არის ღმერთი? - ჩემი აზრით, ღმერთი მადლისმიერი გონისა და გონისმიერი მადლის გაერთიანების წამმართველი დიდი სუბსტანციაა. სამყარო ჩამოყალიბდა სულიერი საწყისებისა და კოსმიური საზრისების კომბინაციის წყალობით. კოსმოსი - სხვადასხვა გნოსტიკურ ელემენტთა და სოფისტურ ძალმოხილებათა მოძრაობის გასაოცარი არეალია. თეოგენია - ღვთიურ საწყისთა წარმოშობა უკავშირდება ღვთიური მადლის მეტამორფოზთა კოსმიური ციკლის სიბძნისმიერ საფუძველს - თავად უფალსა და მისი ძალისადმი რწმენის სიმტკიცეს, რომელიც აქვს თვით უსულო საგანსაც კი, რადგან იგი უფლის ნებითაა შექმნილი კოსმოსში თეოგენია და კოსმოლოგია ერთიანი სუბსტანციაა, რომლის ძლიერება განსაზღვრავს სამყაროს განვითარების გზას. თუმცა, ჩემი სუბიექტური რწმენით თეოგენია მაღლა დგას კოსმოგონიაზე, რადგან ღვთიური საწყისის - ფიზიკოსთაგან „ჰიგსის ბოზონად" სახელდებული, საოცრების წარმოშობის გარეშე, კოსმიური გონის ჩამოყალიბების პროცესი ვერ დაიწყებოდა.

თითოეულ ადამიანში სახლობს წმინდა გონი, თუმცა ბევრ ინდივიდს არ ძალუძს დაეუფლოს მისი აღმოჩენისა და სწორად გამოყენების ხელოვნებას. სამყაროს შექმნა განაპირობა უფლის კეთილმა ნებამ და თეოსტრატიული ენერგიის უკიდურესმა მოზღვავებამ. თეოსი - ღვთიური სიბრძნე იშვა თეოზინუსიდან - რწმენიდან. რწმენა - თეოზინუს მაღლა დგას სიბრძნეზე (სოფია), ხოლო სიბრძნე აღემატება ცოდნას (ეპისტემე). რა არის რწმენა? თუ არა აბსტრაქციული ერთგულება სამყაროს მმართველი გონის მიერ შექმნილი კოსმიური მართლწესრიგისადმი. რა არის სიბრძნე? - თუ არა ცნობიერ ინსტიქტებზე დამყარებული ზესწრაფვა ღვთაებრივი ჭეშმარიტების შესაცნობად. რა არის ცოდნა? - თუ არა საზოგადოებრივ - ისტორიული პრაქტიკით დამტკიცებული და ლოგიკურად დადასტურებული სინამდვილის ადექვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში აზრების, მსჯელობების და თეორიების სახით (კანტი). მე ცოდნის ამ განმარტებას არ ვეთანხმები. ჩემი აზრით, ცოდნა წარმოადგენს სამყაროში მიმდინარე ოკულტურ და მატერიალისტურ მოვლენათა შესახებ დაგროვილ ცნობისმიერ წყაროთა ოსტატურად შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული მძლავრი ინფორმაციული ნაკადის მყარ ასახვას ადამიანის არა ცნობიერებაში, არამედ მეხსიერებაში. ჩემი აზრით რასისტენციური მეხსიერება აღემატება მეტაფიზიკურ ცნობიერებას. სამყაროს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს ცხრადასელებმა - სერაფიმებმა, ქერუბიმებმა, მოსაყდრენმა, ხელმწიფებანმა, უფლებანმა, მთავრებმა, მთავარანგელოზებმა და ანგელოზებმა (I - რწმენა, II - სიბრძნე, III - სიყვარული, IV - ძალა, V - თავისუფლება, VI - ძლიერება, VII - დედააზრი) მთავარანგელოზებმა - ქრისტეს მხედრობა, ანგელოზებმა ღვთისადმი მარადიული სწრაფვა - მოცემულია ცხრავედასელთა მიერ შექმნილი სუბსტანციური ძალმოსილებანი.

სამყარო - ეს სიტყვა შესაძლებელია განვმარტოთ კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ ენაზე (პროტოქართული) სამ-სამი, ყარო სივრცე, ესეიგი წმინდა სამების ძალით სამგზის სახნავი არეალი. მსოფლიო ჩემი აზრით ასე იშიფრება: მსო-სამარადჟამოდ, სოფ-სიბრძნე, იო - ატლანტური ბოლოსართი - სამარადჟამოდ ბრძოლა სიბრძნისთვის. ის ადამიანი - ადამის მემკვიდრე, მისი მოდგმის წარმომადგენელი.

ამ რთულ საკითხთა განსახილველად მივმართოდ სხვადასხვა ხალხთა მითოსს. „მომოლოს" ქართული მითოსის მიხედვით არსებობს „მორიგე" ღმერთი, რომელსაც ჰყავს ე.გ. ღვთისშვილები - კოპალა (ხევსურეთში ეთაყვანებოდნენ), იახსარი (ფშავში განადიდებდნენ), ბაადური (ხევი), შიბანური (თუშეთი), თერგვაული (ხევი, ხევსურეთი, თუშეთი). ისინი ქართველთა წარმოდგენით იყვნენ ბოროტების მსახურებთან - დევებთან მებრძოლნი და მათგან მოსახლეობის დამცველნი. ღვთისშვილები იცავენ სამყაროს ბოროტებისაგან და ავრცელებენ სიკეთეს. ქრისტიანობის შემოსვლისას მათი რწმენა ახალ რელიგიას შეერწყა და ჩამოყალიბდა უნიკალური კავკასიური მართლმადიდებლობა. ისინი თეოგენალური არსებები იყვნენ და ებრძოდნენ კოსმიური სიბრძნის გაუკუღმართებულად აღმქმნელ ბოროტ არსებებს - დევებს. ქართული მითოსის მიხედვით, ქართველთა მისიაა კაცობრიობისა და სამყაროს დაცვა სუბსტანციურობის მოპოვების დაუოკებელი ჟინით აღსავსე დევებისაგან.

არმენული მითოსის „ადიცა ბანუციუნის" მიხედვით შახარასტრები - ღმერთთა მსახური გმირები კანონზომიერად იღუპებიან მშობლიური ხალხის (არა კაცობრიობის) მტრებთან ბრძოლაში სომხური თხზულება აშხარხაცუიციში სომხური მითოსი ბოროტებასთან ეროვნული და არა პანეროვნული ბრძოლის მქადაგებელ მხატვრულ ესთეტიკურ სისტემად განიხილება.

სპარსული მითოსის მიხედვით (ზოროასტრიზმის), ზოროასტრი - „ზარაჰიუთთუშტრეს" ( ვინც განგვანათლა - კოლხი იყო ჩემი რწმენით) მთავარი ღმერთია - ცეცხლის ღვთაება „ახურა მაზდა" ანუ „ახურამაჰ სამარაჰ მაზდაშ" – „ის ვინც აკეთილშობილებს გონიერთ" ბოროტი ღმერთი არიმანი, რომელსაც ემსახურებიან ეშმაკნი - დევები აეშმა-დეუსი, აესმო-დეუსი. აჰურამაზდას ლაშქარი ებრძვის არიმანის მსახური დევების ჯარს და მუდმივად იმარჯვებს. სპარსული მითოსი ნამდვილად განიცდის კოლხური მისტიკის გავლენას.

ინდური მითოსის მიხედვით, თავდაპირველად გაჩნდა „შარუჰარაპარი" - ღმერთთა დედა რომლისგანაც იშვა ტრიმურტი, შივა, კრიშნა, ვიშნუ. ასევე ქალღმერთები სარასვატი, ჩანდრა, განეშა (ჩინეთში კუანინი, იაპონიაში - კანონი), დურვა, პარვატი, კალი და ა.შ.

ინდური მითოსის მიხედვით სამყარო შეიქმნა ენერგიალურ სივრცეთა გადაკვეთის წყალობით. ინდური ლიტერატურის ძეგლი „მაჰაბჰარატა" აღგვიწერს უცნობი პატრიარქის სამ შვილს - დჰირიტირაშტრას, პანდარას და ვიბურას.

პანდარასგან იშვნენ პანდავები, ინჩოთურობიდოს მიხედვით დჰირიტირაშტრასგან, თაგორის მიხედვით - ვიბურასგან კაურავები - ძალაუფლების უზურპატორები.

კურუკუშტრას ველზე გამართულ ბრძოლაში თხუთმეტმა პანდავმა დაამარცხა ასი კაურავი. სიკეთემ გაიმარჯვა. „რამაიანაში" აღწერილია სიტასა და რამის სიყვარულის ისტორია, რამას მეგობარი ბრძენი ურჩხული ჰანუმანი, ლაქშმას ბოროტი მეფე - რავანა, კეთილშობილი მეფე - დარაშატი და ა.შ (მათ შორის დედოფალი ინაშარაჰი).

საბოლოოდ, რავანას მიერ მოტაცებულ სიტას რამა გაანთავისუფლებს, სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე (მაჰაბჰარატას VI თავს ჰქვია „ბჰაგავად გიტა" - სიყვარულის თავი, დამატებას - „გარიმანშაში", ეს პოემა დაწერა ვიასამ. „რამაიანა" - ვალმიკმა, „კამიაშასტრა" - ვატსიანა მალანგამ, „ნატიაშასტრას" - კოსმიური ცეკვის - ნატარაჯას სახელმძღვანელოს ავტორი უცნობია.

ინდური პოემა - „სამარანგა სუტრადაჰრაში" მეფე შუბრაჰი სიკეთის მოძღვრების - იოგას ხუთი მთავარი კომპონენტის - სამუმანასიას, ნირაგას, ავაშას, პრანაიამას და ჯარახუს - კომბინაციით ამარცხებს ჯადოქარ შუკუს, იგი ასევე იყენებს ტანჯვით 4 გზას - სამუდაია, დუკა, ნიროგა, მაგა, (ანუ დუკა, სამუდაია, ნირაგა, მაგა).

ინდურ მისტიკურ ლიტერატურაში - რიგვედაში, ჯაჰარვავედაში და ათარვავედაში სამყაროს შექმნის საფუძვლად დასახელებულია სიკეთის (რაკშასების) და ბოროტების (იაკშასების) ბრძოლა. სატვა, რაჯასი, ტამასი, - 3 ტიპის (კეთილი - თეთრი ფერი, აქტიური - წითელი, შავი - ბოროტი) ადამიანი. ინდური მითოსი განიცდის დრავიტთა გავლენას.

ჩინური მითოსის მიხედვით, სამყარო შექმნა „ოდიაჩურავარაპუპამ" - ბრძენმა ღმერთმა, რომელმაც სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა სამყაროს მოძრაობის ძალად დასახა. ჩინეთში განიცდიან ინდურ-შრილანკური ისტორიულ-ფილოსოფიურ-კოსმოგონიური ძეგლის-გოპალარაჯავამშავალი (კოლხურად - კოპალას, ღვთიური სიბრძნის გზით) გავლენას. ჩინური მითოსი განიცდის კოლხურ-დრავდული კულტურის გავლენას. (კოლხები და დრავიდები ერთი რასის წარმომადგენელი ხალხებია).

იაპონური მითოსის მიხედვით, პირველი ადამიანები იყვნენ იზინაგი და იზინამი - ღმერთ იძინაგის შვილები. ამ ღმერთისგან იშვნენ მზის ღმერთი - ამატერისუ და ლეგენდარული იმპერატორი - ძიმუ (მოემატა სრულჰყო).

იაპონური რელიგია „შინტოიზმი" 4 წესს აერთიანებს: ჰარაი (განწმენდა), სინსეი (მსხვერპლშეწირვა), ნორიტო (მოკლე ლოცვა), ნაორაი (ზეთით კურთხევა). წმინდა წიგნს ჰქვია - კოძიკი ფურიფუთურუმი. იგი ჩემი ხედვით კარმელუკებმა დაწერეს (ლაოძის „დაოდენძინი").

ტიბეტური მითოსის მიხედვით სამყარო შეიქმნა 4 ელემენტის - ბოდჰი (გასხივოსნება), ჯატი (დაბადება), ბჰავა (სიცოცხლე), და ჯარამარანა (სიკვდილი) შერწყმით. სამყაროს განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს „ განათლებულ გონად" სახელდებულმა ოსტატებმა - ბოდჰიდჰარებმა და ბოდჰისატვებმა - ქშატიგჰარბამ, ჩინტამანმა, ვაჯრასატმა, ტარამ, მილარეპამ, მიტრეამ, სამანტაბჰადრამ, ამიტაბჰამ, ლოტოსისგან შობილმა პადასამბჰავამ, ავალოკიტეშვარამ, მონჯუშრი კუმარააბჰუტამ, ეშეცოგიალმა - ტაკწანგლაკჰანგის (ვეფხვის ბუნაგი), მონასტრის ლიდერმა და ჩინეთში თეთრი დაგობის ციხის - მაიონგშანგის მფარველმა. ამ შემთხვევაში უნდა დავასახელოთ სიტყვიერი შელოცვა - გულის სუტრა - პრაჯნიაპარამიტა, მაჰავაიროჩანა და ვაჯარასექჰარასუტრები, მანტრები - „აიბ-იუმის" ღვთაებრივი ვიბრაციის ხელოვნება, ტათჰაგატა - „საწყისთა უსასრულო სივრცე" ასევე ტარა-კორეაში ცნობილია თარანი ბოსაცუთ, ჩინეთში თუოლოთ, მილარეპა და მისი მოსწავლეები - რეჩუნგ დორჯე დრაკპა და გამპოპა, მასწავლებელი მარპა - ლოცავა, შინგონის სკოლა, რომელიც შეისწავლის სამანტაბჰადრას ეზოთერულ ასპექტებს, იაპონელი ბუდისტი პრინცი შოტუკუ. დრავიდული სულიერი ტრადიციები (დარშანები) მიმანსა, ვედანკა, სამკჰია, იოგა, ნიაია, ვაიშეშიკა.

ბუდისტური სექტები: ნიინგმა, კაგიუ, კარმაპა, დვაპკა, კადამპა, გელეკპა. გელუკპას (ყვითელქუდიანთა) სექტის დამაარსებელია ჯეტონგპა (1357-1419) ცნობილია სახელით ლობსანგდრაკპა ან რიპოჩი იამანტაკა, იაპონური ექვივალენტია - დაიტოკუმაჰამუდრა, კორეულად მუნსუ ბოსა.

ასევე მედიტაციური პრაქტიკა ბარდოს მრისხანე ფორმები - ჰაიაბრა,ვაჯრაიალა, ვაჯრაპატი, ჰევაჯრამა, ჰაკალა, პალფენ ლჰასა.

ფოვას მედიტაციური პრაქტიკის ეზოთერულ დანიშნულების ადგილები სუჰარატი, აბჰირატი, გეჰუინკპა, ატაკაგტი, სანკონკგტ პალრი - სპილენძისფერი მთა და ტუშიტა.

ტიბეტურ თეოგენურ-კოსმოგონიურ ხედვებს ასახავს ბუდიზმის წმინდა წიგნი - ტიპიტაკა (სამი ბუდას სივრძნე - წარსული -ბუდადიპანგარა, აწმყო - სინდჰართჰა გაუტამა შაკიამუნი, მომავალი - ბუდა მაიტრეა). იგი იყოფა 3 ნაწილად და 2 დამატებად: სუტაპიტაკა, ვინაიაპიტაკა, აჰიდჰამაპიტაკა და 2 დამატება: დჰამაპადა - ბრძნული აფორიზმების კრებული და ჯატაკა - ბუდას დაბადებათა ციკლი.

ტიბეტური ფილოსოფია ჩემი ხედვით, ქართველური კოსმოცენტრიზმის აღმოსავლური სახეობაა, ჩემი აზრით ხეთების მთავარი ღმერთი არიანა (1000 ღვთაების ქვეყანა) და ურარტუელთა, ბიაინელთა ღმერთი ხალდი კოლხური ღვთაებებია.

ებრაული მითოსი ქალდეური კულტურის ნაწილია. ამ სისტემის მიხედვით არსებობს ერთადერთი ღმერთი - იაჰვე იგივე ადონაი, საბაონი. მათი წმინდა წიგნის თორას (ხუთწიგნეული) მიხედვით ეს რელიგია ეგვიპტური (ეხნადონის რეფორმა) და ქალდეური აზროვნების ნიმუშია. თორას თავებია: ბერეშით, ევდემ, ოდეს, ტაჰეს, შიროჰ. ქალდეური, შემდგომ სემიტთაგან გადამუშავებული წიგნის - თანახის თავებია: ბერეშით, ნოახ, ლეჰლეჰა, ვეერა, ხაეი, სარა, თოლდოტ, ვაეცან, ვაიშლაჰ, მიქეცი, ვაიშაჰ და ვაეჰი. წიგნი დაბადებისა „სეფერ მაასე ბერეშით" პირდაპირი წიგნი „სეფერ აშარ", პირველი წიგნი „სეფერ რიშონ" სამყაროს შესაქმის წიგნი „სეფე ბრიათ ოდამ". აღნიშნული ლიტერატურა ებრაული ფილოსოფიის წყაროა, შესაბამისად სემიტური კაბალა და ზოგადად ებრაული მისტიციზმი ასკულარულ - ალაროიდული სულიერების ევრო-აზიური რეტროსპექტივის - ქალდეური სიბრძნიდან იღებს სათავეს. ამ აზრთა შემოქმედნი არიან ბიტ-იაკინის, ბიტდაკურის, ბიტშარუქის ქალდეური ტომების ქურუმები.

გერმანულ-სკანდინავიური მითოსის მიხედვით მთავარი ღმერთია ოდინი, ასევე მისი ვაჟი მეხისმფლობელი თორი. პერიოდულად იმართება - „რაგნაროკი" - ღმერთების ბრძოლა, ძლიერნი იმორჩილებენ სამყაროს.

ბატონი ქვლივიშვილის ასევე ალისტერ კროულისა და ელენე ბლავაცკაიას აზრით ფუთარქად სახელდებული უძველესი რუმები (დამწერლობა) კოლხეთიდან იღებს სათავეს. არსებობს ე.წ. კოსმიური - თვითგანადგურების მისტერიის - მეორე ეტის პირველი რუნა - ჰაგალაზა (ჩემი აზრით ჰაგია ლაზა - წმინდა ლაზონური სიბრძნის იდეალი). ჰაგალაზა ანადგურებს კონკრეტულ ცივილიზაციას და შემდგომ ეპოქალურ მოთხოვნათა შესაბამისი სახით აღადგენს მას - ფენიქსივით - თან გაცილებით ძლიერს და დიდებულს. ჰაგალაზა აკავშირებს 3 განზომილებას: ელგხეიმს, მუსპელხეიმს და ბნელეთს - ხელხეიმს დედოფალ ხელის სამფლობელო.

იგი აღგვიწერს ამ სამყაროთა კარიბჭეებთან მდგარ მდედრობითი სქესის (ქალი, ზოგადად, სიცოცხლის და მათ შორის საყაროს დასაბამი) გოლიათებს - ვერნანდი - აწმყო, სკულდი - მომავალი, ურდი - წარსული. აღნიშნული მითოსიც განიცდის ქართველური იდეების მძლავრ გავლენას მაგალითად ოდინმა და მისმა ძმებმა დაამარცხეს ყინულის გოლიათი - იმირი, იგივე აურგელმირი. ასე მისი ნაწილებისგან შექმნეს სამყარო. ჩემი აზრით წარღვნას გადარჩენილი გერმანელი ნოე - ბელგერმირი კოლხი იყო, რადგან წარღვნამდე კოლხეთი მსოფლიოს მტკიცე ჰეგემონი გახლდათ და მოსახლეობის დიდ ნაწილსაც კოლხური გენეტიკა ჰქონდა.

რაც შეეხება ისლამურ მითოსს, მათი ხედვით სამყარო შეიქმნა კავკასიის (მთა კაფკა) ისლამური ესქატოლოგიის თანახმად, ალაჰის სიბრძნით გასხივოსნების შემდეგ, ანუ ზეციური კავკასია, როგორც ბოროტებისა და სიკეთის მიჯნა - თვით სამყაროს შექმნამდე არსებობდა.

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

## ბერიკაცის ჩივილი

ეჰ, რა ყოფილა სიბერე ბეჩავ,
მოდუნებული დადიხარ ხოლმე,
ასე მგონია ბავშვობის წლები
მოფრინდებიან,ისევე მოვლენ.
სულგანაბული ვიხსენებ წარსულს,
თვალწინ გეშლება ცუდი და კარგი,
სიბერის დრომდე მისულ ბერიკაცს,
აღარ გშორდება სევდა და დარდი.
გადიან წლები, ჭაღარა ვხდებით,
სიბერემ კარზე მოგვიკაკუნა,
ვიბადებით, და ბოლოს ვბერდებით,
ღმერთმა სვე-ბედი ასე გვარგუნა.
ბავშვობის წლები და სიყმაწვილე,
ბეჩავ რა უცებ გაგვიფრინდება,
ჩვენი ნანატრი ახალგაზრდობა,
არარასოდეს დაგვიბრუნდება.
ასე მგონია, ისევ ლაღად ვარ,
ახალგაზრდობის სულს ვეხუტები,
მაგრამ ვერ ვამჩნევთ როგორ
გვეცლება,
ჩვენი ცხოვრების ტკბილი წუთები.
მოგონებები აღარ დაგვრჩება,
თან მომავლისა არ მაქვს იმედი,
ეჰ, ბერიკაცმა ღრმა სიბერემდე
ვერც კი გავიგე როგორ მივედი.

## რამაზ ლაგვილავა



კავკასიონის მაღალ მწვერვალზე
წმინდა გიორგი დამიდგამს კარავს,
უზენაესი უფალი ჩვენ,
ვიცი მარადჟამს რომ დამიფარავს.
ისე ვეტრფოდი სიცოცხლის წუთებს,
სიკვდილის მოსვლას ვეღარ ვამჩნევდი,
ღმერთი მიიღებს ჩემს სულს ზეცაში,
და სამუდამოდ მასთან დავრჩები.

### წადი, წადი გაიარე

ნეტავ რაღა ეშველება,
გულს დაკოდილს, ნაიარევს,
ამ გულს შენ ვერ მომიშუშებ
წადი, წადი გაიარე.
რად მინდა რომ მომეფერო
როცა მნახავ ნაიარებს,
მე არ მშველის შენი კოცნა,
წადი, წადი გაიარე.
მე ეს წლები განსაცდელში
უკვე ბევრჯერ გავიარე,
ნუ მიცინი, ვერ მომთოკავ,
წადი, წადი გაიარე.

ვერ უშველის შენი ლოცვა,
ჩემ გულს მწარედ ნაიარევს,
დროს ნუ კარგავ მომერიდე,
წადი, წადი გაიარე.
დრო გავა და ნუთუ ვეღარ
მოვიშუშებ ნაიარევს,
მე ამ სიტყვებს აღარ შევცვლი,
წადი, წადი გაიარე.
დარდიც მძიმე ზედ მაწვება,
გულს დაკოდილს ნაიარევს,
ღმერთო, გული მომიშუშე,
წადი.წადი გაიარე.

## ლევთერ ჭოჭუა
### ლექსები ფოთზე და ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა



ორი საუკუნის 40 წელი თავდაუზოგავ შრომაში გაატარა-რიგითიდან სახანძრო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელამდე. იყო ჯილდოები, იყო წვალება, სიხარული გადარჩენილი სახლების,ობიექტებისა და ადამიანების გამო. თუმცა,იგი ცხოვრობდა სამსახურს მიღმა ცხოვრებით. ცხოვრეობდა თავისი ქალაქის ცხოვრებით,ტკივილით, სიხარულით, დღესასწაულით, მეგობრებით, განგებამ ლექსის წერის ნიჭით დააჯილდოვა და სიჭარმაგეშიც კალამი არ გაუგდია ხელიდან,როგორც ტკბილი და ბასრი იარაღი,იყო კრიტიკა. ფელეტონები,იყო აღმაფრენა და პოეზია.

კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, ახალ ლექსებს და მით განცდილ სიხარულს ვუსურვებთ ნაღდ ფოთელს, მართლაც გულიან კაცს-ფოთის საპატიო მოქალაქეს, კარგი ოჯახის დიდ მეთაურს.

### ფოთის შემოგარენი

თითქოს ზღაპრის ფრაგმენტია,ფოთის შემოგარენი,
ზღვა და პალიასტომიდან სიო ჩამონაბერი.
კაპარჭინის ტბაზე გასვალ,იქით მოჩანს ეწერი.
მერე კუნძულს მოძვერაძის უსათუოდ ეწვევი.
ბაღში ხარობს ხეხილები, ათასფერად ბზინვარე,
კუნძულს ელფერს უფრო მატებს, მობუტბუტე მდინარე.
აქეთ ტბა და იქეთ ტყე, შუაგულში ბაღნარი,
ხეხილი და ყვავილნარი, არსად არის ამგვარი.
მერე ტბაზე ბადეს გაშლი, თუ ხარ კარგი მეთევზე,
და შამფურზე შემწვარ კეფალს, გამოიტან სუფრაზე.
რა კარგია ჩვენი ფოთი, მისი შემოგარენი.
ზღვა და პალიასტომიდან სიო ჩამონაბერი.

### ოდა წიგნს

ხან ცივი ხარ, ხან კი თბილი,
ხან მტრედივით აფრენილი,
ხან ქარი ხარ, უხილავი,
ხან დარდივით დაფენილი,
ხან ელვა ხარ, ხან ღრუბელი,
ხან კი წვიმის წვეთი ცხელი,
ხანაც გულის მალამო ხარ,
ხან ჩამდგარი თვალში ცრემლი.
ხან ბარტყივით სათუთი ხარ
საბრალო და საცოდავი,
ხან ხატი ხარ უწმინდესი,
ღვთაებრივი სალოცავი.
ხან კი ფუტკარს ემსგავსები
დაფრინავ და ეძებ ნექტარს
ბაღნარებში ყვავილნარებს
ეტანები უფრო მეტად.
ვინ რა იცის ცოდვილი ხარ
ღმერთის მიერ გაკიცხული
-შენ წიგნი ხარ საიდუმლო
მხოლოდ ჩემგან წაკითხული.

### შენ დაგეძებ

შენ დაგეძებ შენ ერთადერთს, მხოლოდ შენთვის ვიღწვი
და უკუღმართ ჟამთა სვლაში სანთელივით ვიწვი
შენს ეზოში შესვლა მინდა, სანამ დაღამდება,
ჭადრის ჩრდილში ჩამოვჯდები, გულიც ამღერდება,
თანაც ვშიშობ ვეღარ გნახო, დამიღამდეს იქნებ,
მაშინ სიოს ჩამონაქროლს, გამოვატან ფიქრებს,
იმედიც მაქვს, გავიარე ეკლიანი გზები,
დავაღწიე თავი უფსკრულს და აღმართზე ვდგები,
ვხედავ მოჩანს ბაღი შენი, ნათელი და მშვიდი,
იქ მივდივარ, მივიჩქარი, სანამ დაკრავს ბინდი,
ფეხს შევადგამ შენს ბაღნარში და დაგიკრეფ ვარდებს
მრავალტანჯულ ამ ჩემს გულსაც მოვაშორებ დარდებს,
მზე ჩასვლის და ამოსვლისას, სხივებს შენსკენ აფრქვევს,
ნიავი კი მშვიდად ქრის და ჭადრის ტოტებს არხევს.
მე იქ მინდა სადაც შენ ხარ,სადაც დარი დარობს,
ბაღ-ვენახი შარიშურობს და ბულბული გალობს.
ჟამთა სვლაში ვატყობ კიდეც,ბზარმა გამკრა ხმაში,
შემეწიე ღმერთო ჩემო, რომელიც ხარ ცაში,
შენს ბაღნარში შესვლა მინდა, სანამ დაღამდება,
ჩემი გული შენ დაგეძებს, შენთან ამღერდება.

P.S. შენს ძებნაში წლები გარბის
პენსიაზე გავედი,
შენ შორიდან მიღიმი და
მე კი ვხედავ ვბერდები.

## ბავშვობიდან გამოყოლილი დარდი დედაზე
### ორიოდ სიტყვით თამარ შულგაზე



მართლაც სად წაიყვანს სიყვარული ადამიანს, დედა რუსეთში გათხოვდა, მამა დაიჭირეს რაღაც საქმეზე და შესთავაზესთუ ქართველ ცოლს გაუშვებ, გაგანთავისუფლებთო, მაგრამ არ დათანხმდა და წლებიც საკმარისად მიუსაჯეს. სიდედრმა გამოაგდო დედაშვილი, ძალიან გაუჭირდა პატარა გოგონას დედის ტკივილიანი მწარე ცხოვრების გადატანა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მისდამი სიყვარული და ამ ლექსით მოეფერა მას. დღეს იგი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია, ამაყობს მისით დედის მამა, ლტოლვილი ბაბუა ვაჟა წოწონავა. წარმატებებს ვუსურვებთ ცხოვრების დიდ გზაზე.

******

### დედა

ადრე რომ მითხარი -ლექსები რატომ არ დამიწერეო, გალაკტიონი ვერ გამოვალ და ეს გულით მიძღვნილი გქონდეს დედუნა. არ მოიწყინო რომ წავალ, თორემ მეც მოვიწყენ. უზომოდ, უაზროდ მიყვარხარ, თავს მიხედე იცოდე. თუ გინდა რომ შენი თავგასიებული კარგად იყოს , შენ თვითონ უნდა იყო კარგად! არაფერზე არ ინერვიულო იცოდე.

### დედას

გაზაფხულს გავხარ
ფერადი მზერით
არ დავიღლები მე შენი
ცქერით.
შენა ხარ ჩემი ნაწილი
გულის,
მანათობელი, ვარსკვლავი
სულის.
მინდოდა შენი გულისთვის
მეთქვა
-სიცოცხლეს მმატებს
მაგ გულის ფეთქვა!
რადა ვინატრო მე შენზე
მეტი?!
ყველა საჩუქარზე
ძვირფასო დედი.

თამარ შულგა

# სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

## კრივი



19-23 თებერვალს, ქალაქ ქუთაისში გაიმართა საქართველოს პირველობა კადეტ მოკრივეთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოკრივეებმა.

I ადგილი - ლუკა ბასარია, 50 კგ წონით კატეგორია, ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი „ლიდერი"- მწვრთნელი ბესო მანჯავიძე.

I ადგილი - საბა ტყებუჩავა, 54 კგ წონით კატეგორია, ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი „ლიდერი"- მწვრთნელი ლაჩა ოჩიგავა.

I ადგილი - ირაკლი ჯანელიძე, 70 კგ წონით კატეგორია, ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი „ლიდერი"- მწვრთნელი თემურ ოჩიგავა.

III ადგილი - გიორგი გაბეჩავა, 63 კგ წონით კატეგორია, კრივის სასპორტო სკოლა- მწვრთნელი დავით დავთიანი.

## სამბო



მიმდინარე წლის 20-21 თებერვალს ბელარუსიის დედაქალაქ მინსკში გაიმართა „A" კლასის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა „სამბო"-ში, სადაც წარმატებით იასპარეზა ფოთელმა მოჭიდავემ გივი ნადარეიშვილმა, რომელმაც 57 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა III საპრიზო ადგილი, მწვრთნელი ზურაბ ტუღუში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებას ულოცავს სპორტსმენს, მის მწვრთნელსა და ჭიდაობის სკოლის მენეჯერს გია გუგუშვილს.

## კალათბურთი



მიმდინარე წლის 22 თებერვალს თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობის მე-7 ტურის კალენდარული მატჩი 14 წლამდელ კალათბურთელთა შორის, სადაც თბილისის „აკადემია" მასპინძლობდა ფოთის „ირაო"-ს. ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ტოლი არ დაუდვეს მოწინააღმდეგეს და მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 78:42. მწვრთნელი როლანდ გარუჩავა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მორიგ გამარჯვებას ულოცავს ფოთელ კალათბურთელებს და წარმატებებს უსურვებს შემდეგ კალენდარულ მატჩებში.



### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

## ჩვენ ერთი წინაპრები გვყავდა

ეს უნიკალური ფოტო სურათი ბატონ ჯუმბერ კემულარიას საოჯახო არქივიდანაა, ტრადიციული სამოსელი, მეგრული ჩოხა და იარაღები ბევრ რამეზე მეტყველებს. ამ ფოტოსურათით ბატონი კირილე კემულარია ახალ წელს ულოცავს მეგობარს.

რა სიამაყე, თავდაჯერებულობა, კეთილშობილება და ინტელექტი იკითხება ამ პატარა საფოსტო გზავნილიდან.

### გამოსათხოვარი

## ლამარა ჩხეტია „რაც არ იწვის არ ანათებს"



ქალაქის პედაგოგიურ საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი, დამსახურებული, პედაგოგი, მრავალი საგანმანათლებლო პროგრამაში გამარჯვებული და ჯილდოს მფლობელი, ლამარა დავითის ასული ჩხეტია.

ლამარა ჩხეტია დაიბადა 1940 წლის 27 აპრილს, მარტვილის რაიონში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა მარტვილის 1 საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დაწყებითი კლასების მასწავლებლის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრებისტანავე დაუბრუნდა მშობლიურ პირველ საშუალო სკოლას და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

ლამარა ჩხეტიამ 1972 წელს შექმნა ოჯახი რესპუბლიკაში ცნობილ კოლორიტულ პიროვნებასთან, ფოთელ სტეფანე (ომარ) ლაშხიასთან და დაიწყო მუშაობა მე-5 საშუალო სკოლაში. აქედან იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ოდისეა.

ლამარა ჩხეტია სარგებლობდა დიდი ავტორიტრტით ფოთის პედაგოგიურ საზოგადოებაში. იგი დაჯილდოებული იყო წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებით. სწორედ ლამარა ჩხეტიას მსგავს მასწავლებლებზე თქმულა, „რაც არ იწვის არ ანათებს". იგი მანათობელი ვარსკვლავი იყო მოსწავლეებისათვის.

„ჩემი პირველი მასწავლებელი" სიამაყით ამბობდნენ და დღესაც ამბობენ მასზე ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც ათასობითაა დღეს რესპუბლიკის მასშტაბით.

ლამარა ჩხეტიას მიერ ჩატარებული გაკვეთილები ჭეშმარიტი სიყვარულით ნაქარგი, ლამაზი მძივივით იყო აკინძული, რომელსაც მოსწავლეები დიდი აღტაცებით აღიქვამდნენ. „აი ია" იყო მისი ძილისპირული.

ლამარა ჩხეტიამ შვილებიც ღირსეულად აღზარდა. ნათია ლაშხია პროფესიით ქიმიკოსია და ევგენი ლაშხია-ეკონომისტი.

წავიდა ჩვენგან, ქვეყანაზე, სკოლაზე, მოსწავლეებზე, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, ამაგდარი და დამაშვრალი დიდი ქალბატონი **ლამარა ჩხეტია**.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

**ქალაქის პედაგოგიური საზოგადოება.**

მედეა და ვანო ნარმანიები დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ ლაშხიების ოჯახს ღვაწლმოსილი და დამსახურებული პედაგოგის

**ლამარა ჩხეტიას**

გარდაცვალების გამო.

### მაშ გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დავიწყებას!

## გონერი ხახუბიას მონატრება



20 თებერვალს 75 წელი შეგისრულდებოდა.. უშენოდ ვხვდებით შენს იუბილეს წელს პირველად. არც თუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ბოლომდე ატარე კაცობის, მეგობრობოს და სიყვარულის მძიმე ჯვარი. ჩვენს თაობას ორი საუკუნის ზღვარზე მოუხდა ცხოვრება. იყო აღმავლობის წლები, იყო სამოქალაქო დაპირისპირება, და ძალიან განიცდიდი ყოველივეს-როცა ასე უჭირდა ცხოვრება შენს ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებს და შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებოდი. შრომაში ენერგიული და დაუღალავი იყავი. ძალიან უყვარდი თანამშრომლებს, როგორც ნიჭიერი ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და მზრუნველი, შენი ჰუმანურობით, მიმტევებლობით კარგ ცხოვრებისეულ მაგალითს აძლევდი ყველას და შეგვახსენებდი რომ ადამიანები უკვდავები არა ვართ, რომ „,ადამიანის სული ისე მძიმეა, მისი ტარება ერთ კაცს არ ძალუძს".

შენი უმთავრესი სიმდიდრე შენი ოჯახი იყო. ქართული, ტრადიციული , კარგი ცოლ-ქმრობით, მამა-შვილობით გამოირჩეუდი. ძალიან გიხაროდა, რომ შვილი - ირაკლი ხახუბია, წარმატებულია ბიზნესში, საქმეში და პოლიტიკაში.როგორც პარლამენტარი, ფოთელთა სიყვარულს, რომ იმსახურებს. მაგრამ ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე- შვილშვილის ტრაგიკულმა ბედმა შეგარყია. იქეთ გაგიწია გულმა, ზეციური საუფლოსაკენ, სადაც შენი გაზრდილი ბიჭი გეგულებოდა. რომ არა ეს დიდი დარდი კიდევ დიდხანს შეძლებდი გეცოცხლა. წახვედი მაგრამ მაინც ჩვენთან ხარ და ჩვენთან იქნები, სანამ ჩვენ -შენი დარჩენილი მეგობრები ფეხზე ვდგავართ და მოგონებებში ჩავიძირებით, მოგეფერებით ჭიქა ღვინით და საფლავთან მიტანილი ყვავილებით.

ნათელი სურათი - როგორც ქვაში ჩახატული მარადისობა და ზეცად აღვლენილი სული ახალ „რაც მიწის იყო მიწას დარჩა, რაც ცის იყო წავიდა ცისკენ".

დაბადების დღეს გილოცავთ ძმაო და მეგობარო!

„თასით ღვინო და ალალი მეგობარი, რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს"...

როგორ გვაკლიხარ, ღმრთს ებარებოდე!

შენი განუყრელი ძმაკაცები

### „სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა"

## სპარტაკ კვირაიას მონატრება



სპარტაკ, 2020 წლის 14 თებერვალი არის შენი დაბადების დღე, ხოლო 25 თებერვალი გარდაცვალების დღეა.

გილოცავ დაბადების დღეს, ცათა სასუფეველში, სადაც შეგისრულდა 80 წელი. ეს დღე შენთვის იყო გამორჩეული და ამაყობდი, რომ იყავი სიყვარულის დღეს დაბადებული.

ახლა შენი მონატრების სიტყვებს ვწერ ფურცელზე და უნდა ვთქვა რა ტანჯვის გენია მიტრიალებს გულში. რა საშინელი განცდაა ჩემთვის ავიღო კალამი და ვწერო იმ უდიდეს ტკივილზე და უბედურებაზე, რასაც შენი სიკვდილი ჰქვია.

49 წელი ერთმანეთის სიყვარულში გავატარეთ - ჭირსა და ლხინს ერთად ვიზიარებდით, ვაჟკაცური კაცი იყავი სულით ხორცამდე, ნამდვილი ქართველი კაცის ღირსებებით შემკობილი, ადამიანობის, მეუღლეობის, ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, რძლის, სიძის, ნათესავების შენი ქალაქი ფოთის მოყვარე - ყველა სიკეთის ეტალონი.

სპარტაკ, შენი სიკვდილის შემდეგ გაიზარდა შენი ოჯახის წევრების რაოდენობა შენი შვილიშვილების გაბედნიერებით, მიხარია და თანაც ძალიან გული მწყდება, რადგან ეს სიხარული შენ რომ ვერ გაიზიარე. ძალიან ენატრება შენს ოჯახს შენი მოზომილი საუბარი და კეთილშობილური გაღიმება.

გაივლის კიდევ ბევრი წელი და შენი სულის აჩრდილი უფრო ნათლად გამოკვეთს შენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის გზავნილ სავიზიტო ბარათს-სიყვარული, მონატრება, არ დავიწყება.

მუხლმოდრეკით ვთხოვ უფალს შენს კეთილსა და უბოროტო სულს დაუმკვიდროს ბინა სასუფეველში, მე კი სანამ ბედისწერა შენი ხსოვნის სადარაჯოზე დგომას დამაცლის, ხშირად შენი საფლავის სტუმარი ვიქნები, არ მოგაკლებ ცრემლებს, სანთლებს და ყვავილებს,

შენი მეუღლე
ანგელინა ლოლუა - კვირაია.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა